პროექტი “ფერმერები და ბაზარი”

2008 წლის მარტში არასამთავრობო ორგანიზაციამ ქეა საერთაშორისო კავკასიაში დაიწყო სამწლიანი პროექტის "ფერმერები და ბაზარი" განხორციელება. "ფერმერები და ბაზარი" BP-სა და მისი პარტნიორების მიერ ინიცირებული და დაფინანსებული საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ნაწილია.

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის მიზანია "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის" გასწვრივ განლაგებული თემების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. "ფერმერები და ბაზარი" წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტს, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების შემდგომ განვითარებაზე.

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგად გამოაშკარავდა ფერმერთა სიძნელეები საკუთარი პროდუქციის ბაზარზე გატანის მხრივ - ზოგ შემთხვევაში ფერმერებს ამისათვის მწირი შესაძლებლობები აქვთ, ზოგან კი ბაზარზე გასვლის არავითარი პერსპექტივა არ გააჩნიათ. შესაბამისად, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი ვერ აღწევს მომხმარებლამდე და ვერ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნას.

პროექტი "ფერმერები და ბაზარი" "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის" გასწვრივ მდებარე სოფლებში მცხოვრებ მინიმუმ 600 ფერმერს შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე გატანაში, დააარსებს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საკონსოლიდაციო ცენტრებს, რითაც თავის წვლილს შეიტანს ხარისხიანი პროდუქციის წარმოების დანერგვაში, ცოდნის შეძენაში, უნარების განვითარებასა და მარკეტინგულ საშუალებათა გაზიარებაში.

დასახული ამოცანების შესასრულებლად პროექტი აქტიურად ეძებს საინვესტიციო პარტნიორებს, რისთვისაც პროექტის ფარგლებში პერიოდულად ცხადდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკონსოლიდაციო ცენტრებისათვის ბიზნეს პარტნიორების შესარჩევი კონკურსი.

პროექტის დასასრულს თანადაფინანსების პრინციპით დაარსდება 4-6 საკონსოლიდაციო ცენტრი, რომლებიც შექმნიან სასოფლო-სამეურნეო კონსულტაციების მექანიზმს და უზრუნველყოფენ საკონსოლიდაციო ცენტრების ყველა დაინტერესებულ კლიენტ ფერმერს შესაბამისი კონსულტაციებით.

სხვა საქმიანობებთან ერთად, პროექტი ითვალისწინებს სამიზნე არეალში საწარმოო ჯაჭვის გაძლიერებას, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ოთხი რეგიონული გამოფენა-გაყიდვის ორგანიზებას.

კონსოლიდირებული პროდუქციის ხარისხიანობის უზრუნველსაყოფად, პროექტი ითვალისწინებს საკონსოლიდაციო ცენტრებისა და საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული თანამშრომლების მომზადებას სურსათის უსაფრთხოების საკითხებში.

2006 წელს ქეამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოიპოვა გრანტი საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის განსახორციელებლად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გასწვრივ მდებარე 77 თემში განვითარების პროცესის ხელშეწყობისთვის. “სიპ” ინიცირებული და დაფინანსებულია BP-სა და მისი პარტნიორების BTC ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის, SCP სამხრეთ კავკასიის მილსადენისა და GPC-საქართველოს მილსადენის კომპანიების მიერ.